პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 283 (13099) | ხუთშაბათი, 3 დეკემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

შვიდწლეული — ვადამდე!

გეგმის გადამეტებით

თბილისი სართავ-სტრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამომავების თერთმეტი თვის საწარმოო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადაზე ადრე 17 ნოემბრისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით 600 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. გადაჭარბებით შესრულებულია პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების დავალება.

განვლილ ათ თვეში დაზოგილია 81 ტონა ნედლეული, რითაც წარმოება დამატებით მიიღებს 120 ათასი მანეთის პროდუქციას. ამავე დროის მანძილზე დაზოგილია 224 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 347 ტონა პირობითი საწვავი. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, თვითღირებულების შემცირების საგეგმო დავალებანი.

« დიდი ქიმია შეიკრა საფეიქრო მრეწველობაში და ისევე, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგში, თანდათან იფართოებს „გავლენის სფეროს“. ბევრი ახალი მოხდენილი და უალრესად თანამედროვე მოდური ქსოვილებით გაახარებენ მომხმარებლებს უახლოეს მომავლში საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები. ქსოვაში სინთეზური ბოჭკოების გამოყენებაზე უკვე გადავიდნენ თბილისის ხალიჩა ქსო�ილების ფაბრიკაში, სადაც ახლახან აითვისეს ახალი სახის სინთეზური ქსოვილის წარმოება.

სურათზე: ფაბრიკის მოწინავე მჭყოველი თამარ აზნაურაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შრომითს ვახტზე

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲐᲕᲘᲗᲐᲠᲝᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას რომ ხელ მძღვანელობს, ჩვენი პარტია მუდამ ეყრდნობა შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის სასიცოცხლო ძალას, ეყრდნობა სამყაროს ნამდვილი მეცნიერული შეცნობის შედეგებს. ამასთან იგი ხელმძღვანელობს იმ უცილობელი ჭეშმარიტებით, რომ ადამიანთა ნებისა და შეგნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი. ეუფლება ამ კანონზომიერებებს, და უნარიანად იყენებს რა მათ, ადამიანი ხდება ბუნების მბრძანებელი, საზოგადოებრივი პროგრესის შემოქმედი. სოციალიზმისა და კომუნიზმის მთელი მშენებლობა გაციცროვნებულია მეცნიერული ცოდნის შუქით.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე პარტია და სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავდნენ მეცნიერების განვითარებისათვის. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის პირობებში მეცნიერება ძვალ-რბილში უნდა გაუჯდეს ხალხს, მთლიანად და ნამდვილად გადაიქცეს ყოფაცხოვრების შემადგენელ ელემენტად. იგი გულისხმიერად ეპყრობოდა მეცნიერებს, გადაჭრით აღკვეთდა მეცნიერების ხელმძღვანელობაში ადმინისტრირების ყოველგვარ ცდას, გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ვინმე არ „ონებაზობდეს“ მეცნიერებათა აკადემიის მიმართ. „აღმოჩნდება თქვენთან ვინმე ყოჩაღი, — ეუბნებოდა ვლადიმერ ილიას-ძე ლუნაჩარსკის, განათლების პირველ სახალხო კომისარს, — დაიძგერება აკადემიას და იმდენ რამეს წაალხვნის იქ, რომ შემდეგ ამის გამო თქვენ მკაცრი პასუხი მოგეთხოვებათ“. ლენინი მოითხოვდა ტაქტსა და გულისხმიერებას მეცნიერთა მიმართ, დიდად ზრუნავდა მათთვის, მხარს უჭერდა მათს ინიციატივას. ამის წყალობით მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ჩაება დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების დამუშავებაში.

ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით სულ უფრო ფართოდ ვითარდებოდა მეცნიერული კვლევის ფრონტი, სწრაფად იზრდებოდა მეცნიერ მუშაკთა არმია ყველა სპეციალობით. მეცნიერების ბრწყინვალე მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ავტომატიკის, კიბერნეტიკის, ელექტრონიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, ატომური ბირთვის ფიზიკისა და ეროვნიდროდინამიკის განვითარებაში, პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და ბუნების სიმდიდრეთა და ძალების გამოყენებისადმი ახალ მიდგომათა შემუშავებაში. დიდ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა სელექციონერებმა. წლითიწლობით იზრდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოღვაწეების შემოქმედებითი შრომის შედეგები.

მაგრამ ჩვენ ვერ დავჯერდებით მიღწეულს. ცხოვრება გადაჭრით აყენებს ახალ და ახალ პრობლემებს, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა სულ უფრო ფართოდ გაიშალოს ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა, სულ უფრო მეტად მიუახლოვდეს მეცნიერება კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. რამდენნი როლი კომუნიზმის მშენებლობის დიადი გეგმის განხორციელებაში. მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი საშუალებას გვაძლევს უალრესად ეფექტიანად გამოვიყენოთ ბუნების სიმდიდრენი და ძალები ხალხის ინტერესებისათვის, აღმოვაჩინოთ ახალ საზღვრები ენერგია და შეკვეთნათ ახალი მასალები, შევიმუშაოთ კლიმატურ პირობებზე ზემოქმედების მეთოდები, დავიპყროთ კოსმოსური სივრცე. პარტია ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს იმას, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს მეცნიერების როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ხელს უწყობს კვლევას, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს საწარმოო ძალების განვითარებაში, ზრუნავს იმისათვის, რომ პრაქტიკაში დაინერგოს უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები.

ПРАВДА

2 დეკემბრის მოწინავე

კომუნისტური მშენებლობა ძალიან ბევრ ენერგიასა და ფულს მოითხოვს. ეს ენერგია, ეს ფული ეკუთვნის ხალხს, ეს ენერგია, ეს ფული ეკუთვნის სოციალისტურ სახელმწიფოს. ამიტომ ეკონომიკურ კვლევებს, ტექნიკურ-ეკონომიურ გაანგარიშებებს, ტექნიკურ პროექტებს, ტექნიკურ ნახაზებს, ტექნიკურ ინსტრუქციებს, ტექნიკურ ინსტრუქციებს, ტექნიკურ ინსტრუქცი

სოფლის სიხარული

ბინნიგაურთკარი ერთი ჩვეულებრივი სოფელია არაგვის ხეობაში, რომელიც მდინარის მარჯვენა მხარესაა შეფენილი და, გაცმა რომ თქვას, არაფრით არ გამოირჩევა სხვა სოფლებისაგან. მიუხედავად ამისა, იქ მისვლა ყოველთვის მიხარია, მიხარია იმიტომ, რომ იგი სწრაფად იზრდება, მატულობს წითელკრამატიანი აგურით ნაშენი ლამაზი სახლები, ასალ ფართობებს იპყრობენ მწვანე ნარგავები. უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში აქ საცხოვრებლად ჩამოვიდნენ ძველები ღინიაშვილები, ფრიდონაშვილები, მელიოგურები, ჩანადირები...

ამ ზაფხულს საქართველოს სამხედრო გზიდან ბინნიგაურთკარის პეიზაჟში რაღაც ცვლილება შეგამჩნევ, სოფლის ცენტრში ასალი ორსართულიანი სახლი გადმომდგარიყო ამაყად. ცხადი იყო, იგი საცხოვრებელი არ გახლდათ, რადგან მეტისმეტად დიდი იყო, არც კლუბს ჰგავდა და არც ბიბლიოთეკას. ჩემი გაკვირვება რომ შეამჩნია, თანამგზავრმა ღიმილით თქვა:

— რეაწლიანი სკოლის ასალი შენობაა.

ვიცოდი, რომ სოფელში სკოლის ასეთი შენობა არა ჰქონდათ. ამიტომაც ვიკითხე, ვინ ააშენა-მეთქი.

— ქონვალის სასოფლო საბჭოს დეპუტატმა რუსუდან დინუაშვილმა, — იყო პასუხი.

რა თქმა უნდა, ეს არ დაგიჯერე. რუსუდან დინუაშვილის შესახებ ადრეც ვიცოდი, რომ იგი ბინნიგაურთკარელთა სასახელო რაალი, კარგი სასოფლო მოღვაწე და მოწინავე აქედგომი იყო, მაგრამ მას ამოდენა შენობის აგება არ შეეძლო.

ცნობისმოყვარეობამ ამ დღეებში სოფლის სკოლაში მიმიყვანა. საღამოხანი იყო, და ივანაზე, სადაც ფეჯვის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა, მარტო დამლაგებელი დაგვეგდა. გულს ანარებდა დაწკრიალებული საკლასო ოთახები, მყუდრო სამასწავლებლო, ფართო და ნათელი ეზანი, რომელიც არაგვის ულამაზეს ხეობას გადაჰყურებდა ორბის ბუდესავით.

— ვინ ააგო ასეთი ლამაზი შენობა? — შეეკითხე დამლაგებელს.

— რუსუდან დინუაშვილმა, ჩვენმა დეპუტატმა და საყვარელმა რძალმა.

მე ესეც აკაურების ხუმრობად ჩავთვალე და ითუოდენ გავედი სიმართლის გასაკვლევად ჩვენი ძველი ნაცნობის სანდრო ქადგიშვილისათვის მიმემართა.

სანდრომ და მე სამასწავლებლოში საუბარი გავაჩაღეთ. გარეთ წვიმდა, ოთახში კი სასიამოვნოდ დუღუნებდა ლეთონის ღუმელი.

— ჩვენი სოფელი უსკოლოთას ადრეც არ ემდუროდა, ადრეეე გვქონდა დაწყებითი სკოლა, რომელსაც ჩვენი რძალი რუსუდანი ხელმძღვანელობს, მაგრამ ბავშვებს უჭირდათ მეხუთე კლასიდან, რადგან საშუალო სკოლა მხოლოდ სოფელ არანისში იყო, აქედან შვიდ კილომეტრზე. ვაკე რომ იყოს, კიდევ არაფერი, მაგრამ არანისის ადგილმდებარეობა კარგად მოგეხსენებათ, იმ მთაში. ასეთა ტატარეს კი არა, დიდებს უჭირთ. განსაკუთრებით ძნელი იყო ზამთარში, როცა ბავშვებს თვითონ უნდა გაეკვლიათ გზა დიდ თოვლში. მოსწავლეთა მშობლებს ბევრჯერ გამოუთქვამთ თავიანთი გულისტკივილი სასოფლო საბჭოს სხვიებზე, აღმასკომის სხდომებზე. ასალი სკოლის გახსნის საკითხზეც ლაპარაკი ყოფილა კოლმეურნეობის კრებაზეც. სოფლის თავკაცებს ეს საკითხი რაინის ხელმძღვანელების წინაშეც დაუყენებიათ, მაგრამ ერთი რამ აბრკოლებდა ამ საქმის მოგვარებას: სასკოლო შენობის უჭირნლობა.

გავიდა დრო. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი დეპუტატი რუსუდან დინუაშვილი სოფლის თავკაცებს ესაუბრა. მიუკიბავ-მოუკიბავად გვითხრა სოფლის ძალგბით აგვეგო რვაწლიანი სკოლის შენობა. თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერიაო, ნათქვამია. იცოდეთ, ამ საქმეში კოლმეურნეობაც დაგვეხმარება და საბჭოს მთელი აქტივიც, მეონიკა არც რაინონი დარჩება განსწენი.

რუსუდანს სიხარულით დავეთანხმეთ და გადავწყვიტეთ ეს საკითხი კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე გაგვეტანა. ასეც მოხდა, ხალხმა თანხმობა გამოგვიცხადა. გაგეგობაც დასმარებას დაგვპირდა. საქმე გაიჩარჩა. არა, ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ეპეობდნენ, სკოლის აშენება ჩვენ კი არა, ზოგჯერ სახელმწიფო ორგანიზაციებსაც უჭირთო, მაგრამ მათ ყური არ ვუგდეთ, რაინონის განათლების განყოფილებას ცოტაოდენი თანხა ვთხოვეთ...

ჩვენ, მართალია, სოფელში ვცხოვრობთ, კოლმეურნეები ვართ, მაგრამ საინტერესო საქმე ჩვენთვის უცხო როდია. ვეყოფანან შეხანშინავი დურგლები, კალატოზები, მეჭედლები. ეს ვეებერთელა სოფელი ხომ ჩვენი ხელით არის აგებული, და ერთი სკოლა რას გაგვიძნელებდაო? სამუშაოთა მწარმოებლობა შალვა ღანიაშვილს დაეკალა, მისი უშეალო ხელმეძღვანეობი და მშენებლობის სული და გული იყვნენ კოლმეურნეები იასონ ჩიხაშვილი, სოსე ქადგიშვილი (სანდრო თავის თავს არ ასახელებს, მე კი ვიცი, რომ მათზე ნაკლები არც ის იყო).

ტკბილია კოლექტიური შრომა. ხომ გამოეცდიათ, როგორ სიამაყეს ვგრძნობთ, როცა საერთო სამმო საქმეს ვაკეთებთ. სწორედ ასეთი გრძნობით ვიყავით გამსჭვალული, ხე-ტყის დასამზადებლად საკანფაქის ვეშე რომ წავედით, ულრან ტყეში მთელი დღე არ დამცხრალა ხერხისა და ცულის ხმაური, დაღლა არავის შესტყობია. მომავალ სკოლას, საძირკველი დავუყოლოცეთ და ხე-ტყე ჩვენივე გამწევი ძალით სოფელში მოვიტანეთ.

ახლა საჭირო იყო ქვისა და ლამის მოტანა, კირის გამოწვა, კარ-ფანჯრების დამზადება. ჩვენმა ხალხმა ყველაფერს მოუარა, ყველაფერს თავი მოაბა. არაგვის რიყიდან ეამრავი ქვა ამოვზიდეთ, პატარა ბავშვებიც კი ვალში არ რჩებოდნენ, ზაფხულში დილიდან დაღამებამდე ჩვენთან იყვნენ, იცოდნენ — სკოლის შენობას რომ დავამთავრებდით, ყოველდღე შვიდ კილომეტრზე სიარული აღარ დასჭირდებოდათ... ყოველთვის ჩვენთან იყო რუსუდან დინუაშვილიც, გვამხნევებდა, თავისი ტკბილი და მართალი სიტყვით ძალას გვმატებდა. შალვა ღანიაშვილი ხშირად პარტიის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომში დადიოდა, რაც უნდა თქვა, ხელმძღვანელებს დაუხმარებლად ყველა მასალის ზოგნა არ შეგეძლო. ისინიც გვეხმარებოდნენ, რითაც კი შეეძლოთ.

ერთგულად შრომობდნენ ხელოსნები შოთა ჩიხაშვილი, არჩილ ქადგიშვილი, სიმონ მომძანაშვილი. გული რომ არ „ეასტეხოდათ" შესრულებულ სამუშაოში მათ რაღაც სიმპოლური ხელფასს ვაძლევდით. თავი ისახელეს ასალგაზრდებმაც და მოხუცებმაც, ქალებმაც და კაცებმაც. მშენებლობაში დიდი წვლილი შეეტანეს ლექსო ქადგიშვილმა, ლადო ბადაგაძემ, შალვა და სიკო ქადგიშვილებმა, ავტომძღოლმა რეზო ჩიხაშვილმა სულ თავისი მანქანით მიზიდა ქვა, ქვიშა, ლამი.

თანდათანობით მაღლა მიიწევდა სკოლის კედლები, მზადდებოდა კარ-ფანჯრები. დამავიწყდა მეთქვა, შენობის საძირკველში ისეთი დუღაბი ჩავასხით, საუკუნეებს გაუძლებს, მერე პირველი სართული რომ ამოვეყოლეთო, ერთხელ კიდევ შემოვალეთ დუღაბისავე სარკეული...

ეუა ზაფხულში შენობა მზად იყო ბავშვების მისაღებად, ორსართულიანი ლამაზი შენობა შორიდანვე იპყრობდა ხალხის ყურადღებას. უხაროდათ ბინნიგაურთკარელებს, ქალაქური ტიპის ეს ლამაზი შენობა ხომ მათი შეერთებული შრომის ნაყოფი იყო. მის აგებაზე მხოლოდ 3 ათასამდე მანეთი დაიხარჯა. აი რა შეეძლია კოლექტიურ შრომას, რა საოცრების გაკეთება ძალუძთ რუსუდან დინუაშვილისთანა ადამიანებს, ნათელი გონებისა და პრაქტიკული გონების ადამიანებს, რომლებშიც შეერთებულია საერთო საქმის დიდი ერთგულება და ამის უნარი, რომ უხმაუროდ მოაწყონ ადამიანთა სასარგებლო შრომა.

სკოლის შენობა მზად იყო, მაგრამ რვაწლიანი სკოლა ჯერ არ ჩანდა. ახლოგდებოდა სასწავლო წელი. კვლავ საქმეში ჩაერივნენ დეპუტატი და მისი აქტივი. სოფლის თხოვნამ განათლების სამინისტრომდე მიაღწია. დედაქალაქიდან ჩამოვიდნენ კომისიის წევრები, ბინნიგაურთკარელებს თანხმობა მოუწონეს.

სექტემბერში ახლადგახსნილ რვაწლიან სკოლაში პირველი ზარი დარეკეა. უნდა გეთქვათ, როგორ უბრწყინავდათ თვალები პატარებს, მადლობის რა გრძნობა იფრქვეოდა მათი სახეებიდან.

— კი მაგრამ პროექტი, ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური დოკუმენტაცია? — იკითხავს მკითხველი.

ამაზე სანდრო ხელს ჩაიქნევს და დამეკითხება იტყვის:

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საჭიროა, მაგრამ ჩვენ გვქონდა საკუთარი ინჟინერები, კონტროლი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე იყო დაფუძნებული.

საუბარი დამთავრებული არ გვქონდა, რომ სამასწავლებლის კარი რუსუდან დინუაშვილმა შემოაღო, სანდოშიან ქალს თმაზე მარგალიტებივით უბრწყინავდა წვიმის წვეთები. იგი თავის ღლებთან შედარებით ასაკგაზრდა და სიცოცხლით სავსე ჩანდა.

რუსუდანს ოჯახის ამბავი კკითხეთ. მისი მეუღლე იასონ ცცრცაშვილი მეკვნახეა და ბეჯითად შრომობს კოლმეურნეობაში. ოჯახის ორი შვილი — მერი და ტრისტანი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ, უმცროსი რეკვიზი საბჭოთა არმიელია.

ქუთაისის მარკით — საზღვარგარეთ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოები შვიდასზე მეტი სახის სხვადასხვა პროდუქციას უშვებენ. ქუთაისის მარკიანი მანქანები და მოწყობილობა, აგრეთვე სხვა ნაწარმი ცნობილია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში დამზადებული ავტომანქანები და კვანძები იგზავნება მთიმე სოციალისტურ ქვეყნებში და აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკებში.

ამ დღეებში ელექტრომექანიკური ქარხნის პროდუქცია — „ატნ-14" ტიპის არტეზიული ტუმბოები გაიგზავნა რუმინეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკებში, ხოლო სათადარიგო ნაწილები — არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. მიმდინარე წელს არტეზიული ტუმბოები და საშახტო ელშავლები გაიგზავნა ჩეხოსლოვაკიაში, კუბაში, ეკვატორის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ეთიოპიისა და ავღანეთში.

მშრალი ლითოფონი, რასაც ლითოფონის ქარხანა ამზადებს, იგზავნება მოძმე სახალხო რესპუბლიკებში, აგრეთვე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, სირიაში, ჰოლანდიაში და ინდონეზიაში.

პარტიული ქრონიკა

□ ახალციხე. აქ პარტიულ კომიტეტთან შეიქმნა და მუშაობას შეუდგა ორი სკოლა: ერთში მეცადინეობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და სხვა პარტიული აქტივისტები, ხოლო მეორეში — პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელები.

პარტიული სკოლების პირველ გაერთიანებულ მეცადინეობაზე ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ი. ხარისჩარიშვილმა მსმენელებს გააცნო პარტიული სკოლის ამოცანები, სასწავლო გეგმა და მეცადინეობის განრიგი.

მოსმენილ იქნა მოხსენებები პარტიულ-ორგანიზაციული, პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, პარტიაში მიღების, პერსონალური საქმეების შედგენა-განხილვის და საწევრო ანარიცხების აკრეფა-ჩაბარების შესახებ.

პარტიული სკოლების მეცადინეობა გაიმართება თვეში ერთხელ.

ს. მიქუტაძეები.

□ ფოთი. პარტიის საქალაქო კომიტეტმა გამართა სემინარი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის, რომელთა დიდი უმრავლესობა წელს პირველად არის არჩეული.

სემინარზე წაკითხულ იქნა მოხსენებები შინაპარტიული და იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხებზე. მოხსენებები წაიკითხეს პარტიის საქალაქო კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

ა. კომაგანიძე.

ქარხანა ყველას ითხოვს

საყურადღებო სიგნალი

ინჟინერი ი. ოგანიანი

გათუმის ქარხანა „ელექტროკარი" ერთადერთი სპეციალიზებული ქარხანაა საბჭოთა კავშირში. აქ თვითმავალ ელექტროტრიკებს ამზადებენ. ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივის და მისი ხელმძღვანელების (დირექტორი ი. უნგიაძე, მთავარი ინჟინერი ი. ოგანიანი) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ ამოცანას. ქარხანა საუკეთესო პროდუქციას უშვებს. „ელექტროკარის" მარკით დამშვენებული მანქანები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქარხანაში, ნავსადგურებში, რკინიგზის სადგურებში, დიდ საწყობებსა და ეროპორტებში მუშაობენ. საწარმოს ამ საკმაოდ რთულ პროდუქციას ჩვენი საზღვრის გარეთაც მრავალი მომხმარებელი ყავს.

ქარხნის კოლექტივის და მისი ხელმძღვანელების თავდადებული შრომის შედეგად საწარმომ წელწადნახევარში პროდუქციის ოთხი ახალი საკმაოდ რთული სახეობის ათვისება მოასწრო. მათ შორის არის ელექტროსაწევარი, ხელით სამართავი ელექტროტრიკა და სხვ. ეს მათ მნიშვნელოვან წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ქარხანას ასეთ წარმატებათა მოპოვება კი შეეძლ მძიმე პირობებში უხდება. მას საკუთარი ტერიტორია არა აქვს, მოთავსებულია საკმაოდ პატარა შენობაში, რომელიც სანახევროდ ზღვაშია შეჭრილი. ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელია ფიქრი საწარმოო ფართობის იდან გადიდებაზე, მაშინ როცა პროდუქციის რაოდენობა წლითიწლობით უნდა იზრდებოდეს. ქარხანა ხელფეხშეკრულია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ასეთ პირობებში ყოველად შეუძლებელია საწარმოო პროცესების შეუფერხებლად განხორციელება, თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ორი წლის წინათ გამოჰყვეს სახსრები ქარხნისათვის ახალი კორპუსების ასაშენებლად. ტერიტორიაც შეარჩიეს. მშენებლობა დაევალა მეხუთე ტრესტის № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს.

ამოღებულ იქნა საძირკველი, აღიმართა მძიმე სვეტები, დამზადდა უამრავი რკინაბეტონის ნაწარმი და... უცაბ მოხდა მოულოდნელი რამ — მშენებლობის დაფინანსება შეწყდა. დარჩა მინდორში ჩამწკრივებული სვეტები, შემოზიდული რკინაბეტონის ნაწარმის გროვა, რკინის სვეტებზე ზღვაში შესაკუბებული შეეწროებული ქარხანა და იმედები, რომ მშენებლობა როდისმე განახლდება.

არ შეიძლება გულისტკივილით არ უყუროთ ამ მიტოვებულ მშენებლობას. რამდენი ათასი მანეთია დახარჯული აქ, რამდენი ადამიანის ოფლია ჩაღვრილი... და ყველაფერი უშედეგოდ.

ქარხანა?

ქარხანა კი თუ არ გაფართოვდა და ვერ შეძლო თვითმავალ ელექტროსატვირთავ მანქანებზე მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ალბათ დიახ-ურიდა და მისი როლი გადაეცემა სხვა საწარმოს, სადაც წარმოების განვითარების რეალური შესაძლებლობა იქნება. ეს კი ქარხანა „ელექტროკარის" ახალგაზრდა კოლექტივისათვის არასახარბიელო პერსპექტივაა.

ახლა საკითხი ასე ისმის: რომ შევინარჩუნოთ ისეთი რენტაბელური და ფრიად საჭირო წარმოება, როგორც თვითმავალი ელექტროსატვირთავი მანქანების წარმოებაა, ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რათა გამოინახოს საჭირო სახსრები მშენებლობის განახლებისათვის. ამით მივაღწევთ იმას, რომ ქარხანას საშუალება მიეცემა აწარმოოს არა მარტო ელექტროტიკები, არამედ ფართო ასორტიმენტით სხვადასხვა წეველობის უნივერსალური ელექტროსატვირთავები, ელექტრომაწევრები და სხვ.

ს. წვეროკმაზაშვილი,

თბილისის ელექტროტექნიკური სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი,

რედაქციისაგან:

წერილში აღნიშნული ფაქტი სერიოზული ყურადღების ღირსია. ჩვენ მიგვიჩნია, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ქარხანა „ელექტროკარის" მშენებლობის გაგრძელებისა და დამთავრებისათვის დროულად გამოინახოს სახსრები, რითაც ხელს შეუწყობს საქართველოში ელექტროტექნიკური მრეწველობის კიდევ უფრო გაძლიერებასა და განვითარებას.

დანამაული თუ უდარდელობა?

ახალქალაქში ზამთარს მოუმზადებელი შეხვდნენ

ჩრდილოეთით, თრიალეთის მთების თავზე, ცას პირი შეეკრა. ამინდი შეცვლას აპირებდა. აბუდისა და სამსრის მთებს კი თოვლის თეთრი მანდილი მოეხურათ მხრებზე. თოვლი მთისძირა სოფლებშიც შეუმჩნეველად ჩამოპარული.

ამ წერილში ლაპარაკი ახალქალაქის რაიონზე გვექნება. მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი იცის აქ. ჯერ ყველაფერი რძისფერ ღრუბლებში გაეხვევა და... ბარდნის და ბარდნის. შემდეგ, ცა როგორც კი მოიწმენდება, ყინვა მინუს 20-25 გრადუსამდე აღწევს. განუწყვეტელი ქარბუქი კი კვირაობითა და თვეობით გრძელდება.

აქ ზამთარში ყველას თავისი საზრუნავი აქვს. ყველაზე მეტი ჯაფა მაინც მეცხოველეებს ადგიათ. ნოემბრიდან მაისამდე, ექვსი-შვიდი თვის განმავლობაში პირუტყვი ბაგარ კვებაზე ჰყავთ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ახალქალაქის რაიონის მეცხოველეებს განსაკუთრებული მომზადება და მზრუნველობა სჭირდებათ პირუტყვის გამოზამთრებისათვის.

ნათქვამია, ზაფხული ზამთრის მუშაო. ჰოდა, ვინც ზაფხულში ზამთრისათვის იმუშავა, ზამთრის ტვირთიც სანახევროდ შეიმსუბუქა. ოკმის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ო. ადელიშვილი) მეცხოველებმა პირუტყვის გამოზამთრების ათვის მზადება ჯერ კიდევ ზაფხულში გააჩაღეს. შეაკეთეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის საზამთრო სადგომები, სოფელ ხავეთის უბანში აეშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს მოზარდი პირუტყვის კიდევ ერთი ახალი სადგომი. მეწველი პირუტყვის ფერმაში დაამონტაჟეს და ამუშავეს ელექტროსაწველი აგრეგატი, ნაყელის გამტანი ტრანსპორტიორი. პირუტყვის საზამთრო ბინებთან მიზიდეს 31.820 ცენტნერი თივა, ნაცვლად 20.780 ცენტნერისა, დაანაზღაურ 9.785 ცენტნერი უბუში საკვები და 7.889 ცენტნერი მაღალხარისხოვანი სილოსი.

პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის თავის დროზე შეუდგნენ ზრუნვას და ზამთარს მომზადებული შეხვდნენ უკმანის, ბარალეთის, კოთელიის, კალინინის, ბურნაუშვილის, ბუღაშნის, პრტენის, გორელოკვის და სხვა სოფლების კოლმეურნეები, კარეხანისა და ვარჩიანის საბჭოთა მეურნეობები.

მაგრამ რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაზე როდი ითქმის ასე, არიან ისეთებიც, სადაც შეუწყნარებლად გაეკიანურეს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება. ზოგს კი ზამთრისათვის თადარიგის დაჭერა ასლა გაახსენდა, როცა უკვე ირგვლივ თეთრად ბარდნის.

დიახ, ვიდრე სოფელ არაგვაში მივედით, თოვა დაწყო.

მძღოლმა ერთ კედლებჩამოძონძილ და კარ-ფანჯრებჩალეწილ შენობასთან შეაჩერა მანქანა.

კოლმეურნეობის კანტორა ეს არისო, გვითხრა. გარედან შენობას კანტორისა არაფერი ეტყობოდა. შიგნიდან კი ისეთი ყვირილი და ხმაური გამოდიოდა, რომ კარგა ხანს ვერ შეებედეთ შიგ შესვლა.

— იცოდეთ, საკვები შუა ზამთრამდე არ გეყოფაო. მერე რა უნდა ვქნათ, რით უნდა გამოკვებოთ პირუტყვი?! — ცხარობდა ვიღაც.

— ახლა გაგახსენდათ?! — მწარე ირონიით უპასუხებდა მოხუცის ხმა, — როცა თივისა და სილოსის დამზადების დრო იყო, მაშინ სად იყავით? რატომ არ ფიქრობდით ამაზე?

— მაშინაც ვამბობდი, მაგრამ ვინ მისმენდა, რა შემეძლო, მე ხომ თავმჯდომარე არა ვარ?

— ეს როგორ, ამხანაგო აკოფაან! თავმჯდომარეს იაღლახანიანს მოეთხოვება პასუხი პირუტყვის საკვების მოუმზადებლობისათვის და თქვენ, პარტორგანიზაციის მდივანს, არა? როგორ ფიქრობთ, ა!

— მე ფერმაში ვიყავი დაკავებული, ფერმის გამგის საქმისა ხომ მოგეხსენებთ, უფრო ხშირად საზაფხულო საძოვრებზე მიხდებოდა ყოფნა... — თავს იმართლებს ფერმის გამგე.

— არ გეცალათ, ხომ? — ომახიანი და დაცინავი ხმით იკითხა მოხუცმა.

— თქვენ თუ არ გეცალათ, კომუნისტებიდან ვინმე პასუხისმგებელი პირი რატომ არ გამოჰყავთო საკვების დასამზადებლად? რატომ არ იზრუნეთ სილოსის ჩადებისათვის?! განა ეს ფერმის გამგეს არ ეხებოდა?

— სოფლის ხელმძღვანელები ჰქვიათ. ერთს მთაში უდამდებოდა, მეორეს ქვიფსა და ლხინში. საქმისათვის კი არ ეცალათ.

— ასე ბრტყელ-ბრტყელად რომ ლაპარაკობთ, მარტო ხელმძღვანელებს რა უნდა ექნათ, როცა კოლმეურნეობის წევრები საკვების დამზადების დროს სხვაგან გარბოდნენ სამუშაოდ. — გამოეკითხა მათ ვიღაცა.

— რა უნდა ექნათო, რა ზომები მიიღეს სოფელგარეთ მოხეტიალე კოლმეურნეთა მიმართ?! საქმე საქმეზე თუ მიდგა, ისინი პატიოსან მშრომელებზე მეტად სარგებლობენ საკოლმეურნეო სიკეთით.

— თუ კოლმეურნეობის წევრია და სოფელში უნდა ცხოვრება, კეთილი ინებოს და ამუშაოს ყოველ კიდევ კოლმეურნეობაში. — გაისმა ისევ მოხუცის ხმა.

მათ კამათს დასასრული აღარ უჩანდა ჩვენთან ალბათ ასეთ გულახდილობას არ გამოიჩენდნენ, და მართლაც, კანტორაში შევედით თუ არა, ყველა გაჩუმდა. მაგრამ, როგორც კი გაიგეს, რომ რედაქციიდან ვიყავით ვეღარ მოითმინეს და თავიანთი გაჭირვება შემოგვჩივლეს.

არაგვას კოლმეურნეობაში მართლაც ძალიან მცირე რაოდენობით აქვთ მოპარაგებული პირუტყვის საკვები. თივა ნაცვლად 5.000 ცენტნერისა 3.500 ცენტნერი დაუმზადებიათ, ნამჯა — 8.000 ცენტნერი, ნაცვლად 12.000 ცენტნერისა, სილოსი კი არცერთი კილოგრამი.

საინტერესოა, როგორ ეპირებენ ისინი პირუტყვის გამოზამთრებას? ზამთრის სადგომების შეკეთება თითქოს დაუმთავრებიათ, მაგრამ ფანჯრებს მინები არა ჰქონდა.

კოლმეურნეობის მეწველი პირუტყვი ახლავე, ამ ზამთრის პირას, საცოდავად გამოიყურება. ასეთმა დასუსტებულმა პირუტყვმა როგორ უნდა გაუძლოს ზამთრის ყინვებს?

ფერმის გამგემ მხრები აიჩეჩა, რა ვიცი. მერე ისევ თავის მართლებას მოჰყვა: მეწველი ძროხების 60 პროცენტზე მეტი ტუბერკულოზით დაავადებულია და ამიტომ არის ასე შელახულიო.

არაგვას კოლმეურნეობაში მართლაც 97 საფურაჟე ძროხიდან 62 სული დაავადებულია. განა ცუდი კვებითა და მოუვლელობით არ დაავადდა ეს პირუტყვი?

არა, არაგვაელო მეცხოველეებო, თავიხმარეთები არ გამოგაჯანსაღებთ. ეს ფაქტი მარტო დაუდევრობაზე კი არა, დანაშაულზეც მეტყველებს.

დაავადებული პირუტყვი ფერმაში კარგად არ არის იზოლირებული. იმის გამო, რომ დაავადებული პირუტყვი ჰყავთ, წელს ძროხების 40 პროცენტი არ დაბეიანებულა. ზოგიერთა ადგილას ეს ბინა ბინაში ერევა. ეს ფაქტი ადვილად ამოიხსნა. ფერმის ბინებში

საერთაშორისო
დეკემბერი, ცნობიერი, ბიულეტენი
ცხოვრება

მსოფლიო ამ დღეებში

ახალი პროვოკაცია

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი

პანოი, 2 დეკემბერი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის თვითმფრინავები კვლავ დაეხეხნენ თავს რესპუბლიკის დასახლებულ პუნქტებს დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთ ნაწილში. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 1 დეკემბერს ამერიკის 12 თვითმფრინავი ნახევარი საათის განმავლობაში ბომბავდა და ცეცხლს უშენდა სოფლებს ჩალის, ტანგს, სასა და კობაის, რომლებიც მდებარეობენ დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთ ნაწილში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ტერ გმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთვიეტნამელ ხელისუფალთა მორიგ პროვოკაციას და გადაჭრით მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ზუსტად დაიცვან დებულება დემილიტარიზებული ზონის შესახებ და შეწყვიტონ პროვოკაციები და საბოტაჟი ჩრდილოეთ ვიეტნამის მიმართ, ბოლო მოუღონ აგრესიულ ომს სამხრეთ ვიეტნამში და პატივი სცენ ჟენევის შეთანხმებებს ვიეტნამის შესახებ.

მეგობრული დახმარება

ალჟირი, 2 დეკემბერი. (საკდესი). ალჟირის დედაქალაქის მახლობლად დაბა ბორჯ ელ-ბაჰრიში გუშინ გაიხსნა რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების მომზადების ეროვნული სასწავლო ცენტრი. გახსნის ცერემონიას დაესწრნენ პრეზიდენტი ბენ ბელა, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიუროს წევრები, ალჟირის სახელმწიფო და პარტიული აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა ელჩი ნ. მ. პეგოვი, დიპლომატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

ახალი სასწავლო ცენტრი, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შეიქმნა, ყოველწლიურად მოამზადებს 300 სპეციალისტს საფეიქრო მრეწველობისათვის და 200 ტექნიკოსს სოფლის მეურნეობისათვის.

ოუურიდებელი ზეგავლენა

ლონდონი, 2 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ე. კორეევი იტყობინება:

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯორჯ ბოლი, რომელმაც დაამთავრა ორი დღის მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან, გუშინ პარიზს გაფრინდა.

ლონდონში მის ჩამოსვლამდე ფიქრობდნენ, რომ ბოლი, უმთავრესად, „მოისმენს“ იმას, რითაც პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი აპირებს ვაშინგტონში წასვლას პრეზიდენტ ჯონსონთან შესახვედრად. მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლს დავალებული ჰქონდა არა მარტო მოესმინა, არამედ ელაპარაკა კიდეც. ამასთან ელაპარაკა საკმაოდ მკაცრად.

როგორც გაზეთი „გარდიანი“ წერს, ბოლი მოითხოვს, რომ ინგლისმა მიიღოს მონაწილეობა ნატოს მრავალმხრივი ძალების შექმნაში რაკეტამზიდი ხომალდების ბაზაზე, რასაც, როგორც ჩანს, ერიდებიან ინგლისელები. მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თანახმაა რა განიხილოს ასეთი ძალების შექმნის გეგმის ვარიანტები, იმედი აქვს, რომ ინგლისი თავს არ შეიბოჭავს რაიმე პირობით და ბოლოს და ბოლოს შეუერთდება მრავალმხრივ ძალებს იმ ფორმით, როგორთაც ისინი ჩამოყალიბდება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მცირე შესვენების შემდეგ ვაშინგტონი კვლავ აძლიერებს მოურიდებელ ზეგავლენას ევროპელ მოკავშირეებზე, იმ მიზნით, რომ თავს მოახვიოს მათ მონაწილეობა ამ საშიშ საქმეში.

ბოლის ვიზიტმა დატოვა შთაბეჭდილება, წერს „გარდიანი“, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე დაინტერესებული არიან შექმნან მრავალმხრივი ატომური ძალები და, როგორც ჩანს, ამერიკის მთავარ პარტნიორად ევროპაში დასავლეთი გერმანია მიაჩნიათ.

მკვეთრი კრიტიკა

პარიზი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საფრანგეთის სენატორებმა მკვეთრად გააკრიტიკეს მთავრობის საგარეო პოლიტიკა. სენატის ტრიბუნიდან ჟ. გიიმ (სოციალისტი) აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობის ძირითადი საგარეოპოლიტიკური კამპანიები მარცხით მთავრდება. მან გაიხსენა ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტ დე გოლის მგზავრობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, საფრანგეთის პოლიტიკა „საერთო ბაზრისა“ და ნატოს მიმართ. გიიმ „საერთო ბაზარში“ შექმნილი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა საფრანგეთის მთავრობას. სოციალისტმა მ. მუტემ გააკრიტიკა პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ეროვნული „დამკვრელი ძალის“ შექმნა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სენატორმა — კომუნისტმა რაიმონ გიუიომ, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობა, როგორც წესი, თავის საქმიანობაში იღებს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობისა და გამალებული შეიარაღების გეზს. ეს პოლიტიკა რომ გაამართლოს, იგი იმოწმებს „საჰეთა მუქარის საფრთხეს“. ეს ხომ ტყუილია!— თქვა რაიმონ გიუიომ. საჰეთა კავშირი არ ემუქრება საფრანგეთს, მეგობრად მიაჩნია იგი.

ორატორმა დაგმო მიდება, რომელიც დღეს გაუწიეს ელისეს სასახლეში ჩომბეს — ლუმუმბას მკვლელს. ეს აქტი, თქვა გიუიომ, უარყოფით გავლენას მოახდენს საფრანგეთის ურთიერთობაზე „შესამე სამყაროს“ ქვეყნებთან.

საფრთხე ექმნება საფრანგეთის უშიშროებას

პარიზი. (საკდესი). გამალებული ატომური შეიარაღება ძირს უთხრის საფრანგეთის ეკონომიკას და საფრთხეს უქმნის მის უშიშროებას — ეს აზრი წინელ ზოლად გასდევდა იმ პრეს-კონფერენციის მონაწილეთა ყველა გამოსვლას, რომელიც მოაწყო „ატომური დამკვრელი ძალის“ წინააღმდეგ და საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლის ეროვნულმა კომიტეტმა. ეს კომიტეტი აერთიანებს ორმოც სხვადასხვა პარტიასა და ორგანიზაციას, მათ შორის საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, სოციალისტურ პარტიას, შრომის საყოველთაო კონფედერაციას, საფრანგეთის სტუდენტთა ეროვნულ კავშირს და სხვ.

კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა ცნობილმა ფრანგმა საზოგადო მოღვაწემ ჟიულ მოკმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სამხედრო თვალსაზრისით სავსებით უსაფუძვლოა ყბადაღებული „ატომური დამკვრელი ძალა“ და რომ იგი უდიდეს საფრთხეს უქმნის საფრანგეთს.

„ატომური დამკვრელი ძალა“, თქვა მან, უძირო უფსკულია, რომელიც ზედიზედ ნთქავს მილიარდებს. იგი უდიდესი დაბრკოლება გახდა საფრანგეთის ეკონომიურ, მეცნიერული და სოციალური განვითარების გზაზე, ძირს უთხრის მის ეროვნულ განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვას. გამალებული ატომური შეიარაღება, რასაც საფრანგეთის მთავრობა ახორციელებს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს საფრანგეთის დამოუკიდებლობას, ამან ომის შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ თავს დაატეხოს საფრანგეთს გამანადგურებელი ატომური დარტყმა. „ატომური დამკვრელი ძალა“ გზას უკვალავს ატომური იარაღის გავრცელებას, ხელს უშლის ომას, რომ საფრანგეთი შეუერთდეს მოსკოვის ხელშეკრულებას და მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში განიარაღების შესახებ.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის წევრი ფრანსუა ბიიუ და საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტისა და ბიუროს წევრი ეერარ ჟაკე. მათ ხაზი გაუსვეს, რომ მშვიდობის საქმეს საფრთხეს უქმნის არა მარტო „ატომური დამკვრელი ძალა“, რასაც საფრანგეთის მთავრობა ქმნის, არამედ ისიც, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში ადგენენ ნატოს „მრავალმხრივი ატომური ძალების“ გეგმებს.

ბაბედული რეიდი

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილით სამხრეთვიეტნამელი პარტიზანები გამბედავად დაესხნენ თავს ქალაქ ტეენ ბიოის, რომელიც მდებარეობს 100 მილზე საიგონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. პარტიზანები ქალაქში შეიჭრნენ, მოსპეს სამარი მასალის საწყობი და ადგილობრივ ხელისუფალთა რეზიდენცია. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, ბრძოლის დროს დახოცეს გარნიზონის უფროსი და 13 მისი მცველი, დაიჭრა 300 სამხრეთვიეტნამელი ჯარისკაცი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი, მათ შორის 33 ტყვიამფრქვევი, ორი რადიოსადგური.

რადიოთი გამოძახებული მაშველი ძალები, მათ შორის თვითმფრინავები, გვიან მივიდნენ. პარტიზანთა შეტევა სწრაფი იყო.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ „მადლობის დღის“ დღესასწაულის დროს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქების ქუჩებში და ბაზატკეცილებზე უბედური შემთხვევების შედეგად დაიღუპა 550 კაცი. ამას იტყობინებიან ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები.

□ **ათასობით** მოზუცებული ინგლისელი ილუკება ყოველწლიურად სიცივისაგან. გამოკვლევამ, რომელიც სომერსეტელმა ექიმმა ტელლერმა მოაწყო, ცხადყო, რომ ინგლისში ყოველ წელს 20-დან 100-მდე ათასი კაცი იხოცება იმ ავადმყოფობებით, რომლებსაც ორგანიზმის გაცივება იწვევს.

□ **ერთი** დღეც არ გავა ისე, რომ იაპონიის ქალაქების ქუჩებში სახანძრო ავტომანქანების სირენების ხმა არ ისმოდეს. ხანძარი იაპონიის უბედურებაა. ტოკიოში „თეთრი წიგნი 1963 წელს ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ შარშან იაპონიაში 50 ათასი ხანძარი მოხდა. ეს რეკორდია ომისშემდგომი იაპონიისათვის. (საკდესი).

ვიეტნამი

ომეგობრული დახმარება

ალჟირი, 2 დეკემბერი. (საკდესი). ალჟირის დედაქალაქის მახლობლად დაბა ბორჯ ელ-ბაჰრიში გუშინ გაიხსნა რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების მომზადების ეროვნული სასწავლო ცენტრი. გახსნის ცერემონიას დაესწრნენ პრეზიდენტი ბენ ბელა, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიუროს წევრები, ალჟირის სახელმწიფო და პარტიული აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა ელჩი ნ. მ. პეგოვი, დიპლომატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

ახალი სასწავლო ცენტრი, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შეიქმნა, ყოველწლიურად მოამზადებს 300 სპეციალისტს საფეიქრო მრეწველობისათვის და 200 ტექნიკოსს სოფლის მეურნეობისათვის.

სურათზე: ზამბია. ტონგას ეროვნების სოფლელები აფრიკულ სამუსიკო საკრავებზე ასრულებენ ეროვნულ მელოდიებს.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ვილსონის სიტყვით...!

ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა, უპასუხა რა დღეს კითხვაზე თემთა პალატაში, განაცხადა რომ ლეიბორისტულ მთავრობას განზრახული აქვს შეინარჩუნოს ამერიკის „პოლარისის“ რაკეტებით შეიარაღებული წყალქვეშა ნავების ბაზა ჰოლი-ლოჰში (შოტლანდია). ვილსონის სიტყვით, ამერიკის წყალქვეშა ნავები შოტლანდიაში დარჩება, სანამ არ მოხდება ცვლილება ნატოს ატომურ პოლიტიკაში.

ომეგობრობა, ძმობა, ერთობა

პრაღა, 2 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთელი პრესა დაწვრილებით აშუქებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ყოფნას საბჭოთა კავშირში, ამასთან ხაზს უსვამს, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიების იდეური ერთობის, ამ ორი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ძმობის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელთა ურთიერთვიზიტები, წერს გაზეთი „ზემედელსკე ნოვინი“, მუდამ ორივე ქვეყნის ხალხთა ყურადღების ცენტრშია. ყოველი ვიზიტი ჩვენი ურღვევი მეგობრობისა და თანამშრომლობის ახალი გამოვლინებაა.

„ჩვენი ხალხების მეგობრობა, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ლოადა ფრონტა“, — ურღვევია, რაფგან საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემა და ნდობა, საერთო ინტერესები და მიზნები, ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებისადმი. ჩვენი მეგობრობა განსაზღვრავს სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს“.

პრაღის რადიო და ტელევიზია დიდ ყურადღებას უთმობენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტს საბჭოთა კავშირში, თავიანთ გამოშვებებში დაწვრილებით აცნობებენ ჩეხოსლოვაკიელ მრჩომელებს, თუ რა გულითადი, ძმური შეხვედრები იმართება საბჭოთა კავშირში.

ლიგანელი ხალხის პროტესტი

ბეირუთი, 1 დეკემბერი. (საკდესი). იმ დროს, როცა ლიბანელი ხალხი პროტესტს აცხადებს კონგოში იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ და გულისწყრომას გამოთქვამს კონგოს მიწაწყალზე ბელგიელი პარაშუტისტების მხეცობის გამო, ბეირუთის ნავსადგურში შემოდის „მეგობრულ ვიზიტად“ ბელგიის სამხედრო ხომალდი „ყარინა“, წერს გაზეთი „ბეირუთ ალ-მასა“. გაზეთი ამ ვიზიტს „ლიბანის საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდებას“ უწოდებს და გაოცებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ბელგიის სამხედრო ხომალდს უფლება მისცეს ღუზა ჩაეშვა ლიბანის წყლებში სწორედ ახლა, „როცა მთელი მსოფლიო გმობს ბელგიელი ჯარისკაცების დანაშაულებრივ მოქმედებას კონგოში“. ბეირუთის ნავსადგურში ბელგიის სამხედრო ხომალდის შესვლის წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განაცხადა აგრეთვე გაზეთმა „ამ-საიბმა“, რომელიც მოითხოვს, რომ ლიბანის ნავსადგურები “დახურონ იმ ქვეყნების ფლოტისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში“.

ჯაგვისცემით შეხვდნენ!

ბრიუსელი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ბრიუსელში საზეიმო შეხვედრა ეოუწყვეს ბელგიელ პარაშუტისტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ კონგოელ პატრიოტთა წინააღმდეგ ბრძოლებში. აღინიშნა მათი დამსახურება აჯანყებულთა წინააღმდეგ რეპრესიებში: პოლკოვნიკ შარლ ლორუხს, რომელიც მეთაურობდა პარაშუტისტთა ნაწილს, გადაეცა ლეოპოლდ II-ის ორდენი, ბელგიის იმ შეფის ორდენი, რომლის დროს გასულ საუკუნეში კოლონიზატორებმა დიაკყრეს კონგო.

„გმირებმა“, რომლებმაც განმათავისუფლეს ბელგია მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინეს თავი, მარშით გაიარეს ბრიუსელის ქუჩებში.

აეროპორტში გამართული ოფიციალური ცერემონიის დროს ქება-დიდება შეასხეს აგრეთვე ამერიკელ მფრინავებს, რომლებმაც თავიანთი თვითმფრინაგებით გადაიყვანეს ბელგიელი პარაშუტისტები.

აჯანყებულნი იგრძვიან

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). კონგოელი აჯანყებულნი შეუპოვარ ბრძოლებს აწარმოებენ კონგოს აღმოსავლეთ ნაწილში. აჯანყებულთა რამდენიმე წარმატებით განხორციელებული ოპერაციის შედეგად განადგურებს საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ ჩომბეს ჯარის რჩეული ნაწილები, რომლებიც მანიემის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრში ქალაქ კინდუში სანგრებში გამაგრდნენ.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, აჯანყებულთა მიერ ქალაქის ხელში ჩაგდების საქმე რეალური გახდა.

კინდუ — სტრატეგიული თვალსაზრისით დიდნაშვნელოვანი ქალაქი — ჩომბეს იმ კოლონის მომარაგების ბაზაა, რომელიც სტენლივილში შეიჭრა ბელგიელ პარაშუტისტთა დახმარებით.

ამასთანავე, შეუპოვარი ბრძოლები სტენლივილისათვის გრძელდება. კონგოელ პატრიოტთა რაზმები მედგრად უტევენ დაქირავებულთა ბანდებს და კატანგის ჟანდარმთა რაზმებს. უშუალო საფრთხეში აღმოჩნდა ახლა აეროპორტის რაიონი, რომელიც ბელგიელმა პარაშუტისტებმა და ჩომბეს ჯარებმა ალაგ-დარმად გადაქცეს სტენლივილის ხელში ჩაგდებისათვის.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ნეოკოლონიატორთა სტენლივილის ავანტიურის ერთ-ერთმა მონაწილემ გაბაცადა, ლეოპოლდვილს ჯარებმა კვლავაც თუ არ დათმეს აეროპორტი, ეს უღრეადეს სარისკო საქმე იქნებაო.

სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდებოდა ქალაქის სხვა ნაწილებშიც.

ოკეანიელ ხალხის პროტესტი

ბეირუთი, 1 დეკემბერი. (საკდესი). იმ დროს, როცა ლიბანელი ხალხი პროტესტს აცხადებს კონგოში იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ და გულისწყრომას გამოთქვამს კონგოს მიწაწყალზე ბელგიელი პარაშუტისტების მხეცობის გამო, ბეირუთის ნავსადგურში შემოდის „მეგობრულ ვიზიტად“ ბელგიის სამხედრო ხომალდი „ყარინა“, წერს გაზეთი „ბეირუთ ალ-მასა“. გაზეთი ამ ვიზიტს „ლიბანის საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდებას“ უწოდებს და გაოცებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ბელგიის სამხედრო ხომალდს უფლება მისცეს ღუზა ჩაეშვა ლიბანის წყლებში სწორედ ახლა, „როცა მთელი მსოფლიო გმობს ბელგიელი ჯარისკაცების დანაშაულებრივ მოქმედებას კონგოში“. ბეირუთის ნავსადგურში ბელგიის სამხედრო ხომალდის შესვლის წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განაცხადა აგრეთვე გაზეთმა „ამ-საიბმა“, რომელიც მოითხოვს, რომ ლიბანის ნავსადგურები “დახურონ იმ ქვეყნების ფლოტისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში“.

მოითხოვენ უშიშროების საბჭოს მოწვევას

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ 16 ქვეყნის წარმომადგენლებისაგან მიიღო წერილი, რომელშიც ითხოვენ უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევას იმ მიზნით, რომ განიხილოს მდგომარეობა, რომელიც კონგოში შეიქმნა ამერიკა-ბელგიის შეიარაღებული ინტერვენციის შედეგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური ქვეყნებში

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მშენებლობის მუდმივი კომისიის XIV სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციებმა. სესიაზე, როგორც მეთვალყურეებმა, მონაწილეობა მიიღეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კუბის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

კომისიამ განიხილა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხები ცემენტის მრეწველობაში, საშენი მასალების მრეწველობაში, უმნიშვნელოვანესი სამშენებლო ობიექტების ტიპობრივი პროექტების შედგენაში და მთელი რიგი სხვა საკითხები.

განიხილეს 1964 წლის მუშაობის ანგარიში და დაამტკიცეს 1965 წლის გეგმა.

მოკლედ

□ **კანადაში** თბომავალ „მიხეილ კალინინით“ ჩავიდა 250 საბჭოთა მექანიზატორი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შაქრის ლერწმის მეხუთე სახალხო მსავლის მოწ. ეგაში და იმუშავებენ თავისუფლების კუნძულზე საბჭოთა კავშირის მიერ მიწოდებულ შაქრის ლერწმის ასაღებ კომბაინებზე. კუბის დედაქალაქის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს.

□ **ბუდაპეშტში** გაიხსნა საბჭოთა კავშირის ელექტრომრეწველობის უახლეს მიღწევათა გამოფენა. უნგრელი სპეციალისტები დიდ ინტერესს იჩენენ გამოფენისადმი. გამოფენაზე ექსპონირებულია ელექტროხელსაწყოები და მოწყობილობა, რომლებიც სერიულად გამოდის საბჭოთა კავშირში.

□ **ბულგარეთის** რუსს ოლქში შენდება თანამედროვე მეფრინველეობის ფაბრიკა. 13 ჰექტარზე აიგება 160 შენობა. მეფრინველეობის ფაბრიკა ყოველწლიურად გამოზრდის 2,5 მილიონ ფიფილას.

(საკდესი).

ვაშინგტონს საიგონი აშფოთებს

ვაშინგტონი, 2 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება:

გუშინ პრეზიდენტი ჯონსონი თეთრ სახლში შეხვდა თავის უმაღლესი თანამდებობის სამხედრო და პოლიტიკურ მრჩევლებს იმ მიზნით, რომ განეხილათ შემდგომი კურსი ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებისა სამხრეთ ვიეტნამში. ეს თათბირი დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ცდასთან იპოვოს რაიმე გამოსავალი ჩიხიდან, რომელშიც მოექცა ამერიკის პოლიტიკა სამხრეთ ვიეტნამში. მიუხედავად ომისა, რომ იქ გაიგზავნა 22 ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი და „მრჩევლები“, აგრეთვე დიდძალი იარაღი და სამხედრო საჭურველი, რომელიც ამერიკელ მოქალაქეს მილიონნახევარი დოლარი უჯდება დღეში, სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში სწრაფად უარესდება და სამხრეთ ვიეტნამის არმია დამარცხებას დამარცხებაზე განიცდის. მარიონეტულ მთავრობას კი, რომელიც თავზე დასვეს სამხრეთ-ვიეტნამელ ხალხს, მხარს არ უჭერს ხალხი.

თათბირზე, სადაც მოხსენება სამხრეთ ვიეტნამის ომის მიმდინარეობისა და ამ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სამხრეთ ვიეტნამში მ. ტეილორმა, განიხილეს თუ რა ახალი ნაბიჯები უნდა გადადგას სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციის გაძლიერებისა და ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი გავრცელებისათვის.

როგორც ცნობილია, ამას მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და დიპლომატიური წარმომადგენელნი საიგონში, მათ შორის ელჩი მ. ტეილორი, შტატების უფროსთა კომიტეტის ყველა წევრი. ჟურნალი „ნიუსუიკი“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის აგრესიის გაფართოების მომხრეთა შორის ასახელებს თავდაცვის მინისტრს რ. მაკნამარასა და სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს უ. ბანდის.

მაგრამ, როგორც ამერიკის პრესა იუწყება, ვაშინგტონში ყველა როდი იზიარებს ამ თვალსაზრისს. ამასთან დაკავშირებით ინფორმირებული ვაშინგტონელი პოლიტიკური მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ მთავრობის წრეებში უთანხმოებაა „მაგარ ღონისძიებათა“ მომხრეებსა და იმათ შორის, ვისაც შეგნებული აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის გაფართოების საფრთხე და სადად ეკადება გაფრთხილებას, რომელიც ამას წინათ საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა ამის გამო.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ჯონსონი სამხედრო და პოლიტიკურ მრჩევლებს ეთათბირა ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომი პოლიტიკის შესახებ სამხრეთ ვიეტნამში, თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა — „დახმარება გაუწიოს სამხრეთვიეტნამელ ხალხსა და მთავრობას დათრგუნონ აჯანყებულთა მოქმედება, რომელსაც გარედან უჭერენ მხარს“.

ელჩმა ტეილორმა, ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში, პრეზიდენტს მოახსენა, რომ „პოლიტიკური მდგომარეობა საიგონში კვლავ მძიმეა“ და რომ სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთ პროვინციებში უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა უფრო გაძნელდა ამ ბოლო თვეებში.

თეთრი სახლის განცხადება ფრიად ლაკონიურია და არ ამყარებს, რა ხასიათისაა მიღებული გადაწყვეტილებები. ეს შემთხვევითი როდია. ყოველი გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება

თეთრი სახლი გეგმებს ადგენს

აზიაში ომის გაფართოების საფრთხე და სადად ეკადება გაფრთხილებას, რომელიც ამას წინათ საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა ამის გამო.

ვაშინგტონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა მიიღო ამერიკის ელჩი სამხრეთ ვიეტნამში გენერალი მ. ტეილორი.

ეხება რა ამ შეხვედრას თეთრ სახლში, ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება: თათბირის დროს იხილავდნენ საკითხს, რომ შეერთებულმა შტატებმა გააფართოოს სამაარი მოქმედება და გადაატანონ სამხრეთ ვიეტნამის ფარგლებს გარეთ.

თათბირში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სახელმწიფო მდივანი დ. რასკი, თავდაცვის მინისტრი რ. მაკნამარა, შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი ვ. უილერი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი დ. მაკკოუნი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე უ. ბანდი და პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში მ. ბანდი.

ვაშინგტონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ჯონსონმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს სამხრეთ ვიეტნამში ტეილორს დაავალა „სასწრაფოდ მოეთათბიროს“ საიგონის ხელისუფლებას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც „უნდა განხორციელდეს მდგომარეობის ყოვლისმხრივი გაუმჯობესებისათვის“. ეს ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა ჯონსონის თათბირი ტეილორთან და ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ მაღალი თანამდებობის სამხედრო და დიპლომატიურ ხელმძღვანელებთან. თათბირმა ორნახევარ საათს გასტანა. თუმცა განცხადებაში არ არის ნახსენები, რომ შეერთებული შტატები აპირებენ საომარი მოქმედების გაფართოებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ იქ ნათქვამია, თითქოს იყოს დამამტკიცებელი საბუთები, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა „კვლავ სულ უფრო მეტ დახმარებას უწევს“ სამხრეთ-ვიეტნამელ პარტიზანებს.

თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა რიდმ განაცხადა, რომ ტეილორი ვაშინგტონში დარჩება კიდევ ორ-სამ დღეს და ამ ხნის განმავლობაში ერთხელ მაინც შეხვდება პრეზიდენტს.

ოუურიდებელი ზეგავლენა

ვაშინგტონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა მიიღო ამერიკის ელჩი სამხრეთ ვიეტნამში გენერალი მ. ტეილორი.

ეხება რა ამ შეხვედრას თეთრ სახლში, ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება: თათბირის დროს იხილავდნენ საკითხს, რომ შეერთებულმა შტატებმა გააფართოოს სამაარი მოქმედება და გადაატანონ სამხრეთ ვიეტნამის ფარგლებს გარეთ.

თათბირში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სახელმწიფო მდივანი დ. რასკი, თავდაცვის მინისტრი რ. მაკნამარა, შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი ვ. უილერი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი დ. მაკკოუნი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე უ. ბანდი და პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში მ. ბანდი.

ვაშინგტონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ჯონსონმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს სამხრეთ ვიეტნამში ტეილორს დაავალა „სასწრაფოდ მოეთათბიროს“ საიგონის ხელისუფლებას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც „უნდა განხორციელდეს მდგომარეობის ყოვლისმხრივი გაუმჯობესებისათვის“. ეს ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა ჯონსონის თათბირი ტეილორთან და ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ მაღალი თანამდებობის სამხედრო და დიპლომატიურ ხელმძღვანელებთან. თათბირმა ორნახევარ საათს გასტანა. თუმცა განცხადებაში არ არის ნახსენები, რომ შეერთებული შტატები აპირებენ საომარი მოქმედების გაფართოებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ იქ ნათქვამია, თითქოს იყოს დამამტკიცებელი საბუთები, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა „კვლავ სულ უფრო მეტ დახმარებას უწევს“ სამხრეთ-ვიეტნამელ პარტიზანებს.

თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა რიდმ განაცხადა, რომ ტეილორი ვაშინგტონში დარჩება კიდევ ორ-სამ დღეს და ამ ხნის განმავლობაში ერთხელ მაინც შეხვდება პრეზიდენტს.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

პოლონური გაზეთების ფურცლებზე

მეგობრობამ საზღვარი არ იცის

ამას წინათ ვარშავაში პოლონურ ენაზე გამოვიდა კ. ბაქრაძის შრომა „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიის ნარკვევები". გაზეთმა „ტრიბუნა ლიუდუმ" მიმოხილვაში „ახალ ფილოსოფიურ პუბლიკაციათა შორის" ამ შრომას შემდეგი სტრიქონები უძღვნა:

„ხსრ კავშირში შეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიის ერთ-ერთი უველაზე ცნობილი სპეციალისტის კონსტანტინე ბაქრაძის წიგნს მონოგრაფიის ხასიათი აქვს. ეს წიგნი 1960 წელს გამოვიდა თბილისში. მას განსაკუთრებით კეთილმოსურნედ შეხვდნენ საბჭოთა ფილოსოფიის ისტორიკოსები. იგი წარმოადგენს ცდას სისტემატიზებულად წარმოგვისახოს გერმანული ფილოსოფიური აზრის განვითარება XIX საუკუნის სამოცდაათ წლებიდან დღემდე. ავტორს ამ წიგნში (რომელიც განზრახული ციკლის პირველ ნაწილს წარმოადგენს) კვლევის სფეროში არ შეუტანია მარქსისტული ფილოსოფია, რომელიც ცალკე პრობლემას წარმოადგენს, და გულდასმით ანალიზს უკეთებს ისეთ ფილოსოფიურ მიმდინარეობებსა და სკოლებს, როგორიც არის ვულგარული მატერიალიზმი, ემპირიოკრიტიციზმი და მახიზმი, იმანენტური ფილოსოფია, ნეოკანტიანობა და, ბოლოს, ჰუსერლის ფენომენოლოგია, რომლებსაც განიხილავს და შეფასებას აძლევს მარქსისტული თვალსაზრისით".

ვფურცლავთ სხვა პოლონურ ეჟურნალ-გაზეთებს... „შტანდარ მლოდიხ" შენიშვნებში რუბრიკით „მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროში" მოგვითხრობს:

„თბილისში საშენ მასალათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ერთ-ერთ ლაბორატორიაში მიღებულია მინა... გრანიტისაგან. ცდებით დამტკიცდა, რომ გრანიტისაგან მიღებული მინა ჩვეულებრივზე უფრო მტკიცეა, ხოლო მისი წარმოება მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა".

ამავე გაზეთის სხვა ნომერი შენიშვნაში „მეცნიერება და ტურისტიკა" თავის მეოხველებს აცნობს სოხუმში შექმნილი ტურიზმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობის გეგმებს.

გაზეთმა „ტრიბუნა ლიუდუმ" გაუყოფილებაში „ობიექტივით მსოფლიოს გარშემო" მოათავსა ჩვენი რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ფოტომასალები. ერთ-ერთ მათგანზე ასახულია თბილისის საჰაერო სადგურთ გზა. წარწერა იუწყება, რომ სადგურთ გზას საქართველოს დედაქალაქის მკვიდრნი აჭაკვს მთის მშვენიერ პარკში. მეორე ფოტოსურათზეა ახალთუმნის ობსერვატორია. წარწერაში ნათქვამია: „საქართველოს ახალთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერი მუშაკები აწარმოებენ მშვიდ მზის საერთაშორისო წელთან დაკავშირებულ კვლევას უაღრესად თანამედროვე აპარატურისა და ინსტრუმენტების გამოყენებით".

პოლონეთში ქართულ სპორტსაც იცნობენ. „შტანდარ მლოდიხმა" მოათავსა სპორტის ეროვნული სახეობისადმი მიძღვნილი „ანბანი" — „ABC", როგორც პოლონელები ამბობენ. ასო „C"-ზე მოცემულია ცნობები ცხენბურთზე — თამაშის ტრადიციებსა და წესებზე.

და დასასრულ, კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი. ქართულ ფილმს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" დაახლოებით ორ თვეს უჩვენებდნენ ვარშავის ეკრანებზე.

ა. ბერშტეინგლიტი.

ზღვა დამშვიდდა...
ფოტოეტიუდი ს. კილაძისა.

მოკრავი პოლიკლინიკა

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონის სოფლებსა და დაბებს ესტუმრა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სტომატოლოგიური, პოლიკლინიკის მოძრავი ბრიგადა, რომელსაც ექიმი-სტომატოლოგი ირაკლი ტატიშვილი ხელმძღვანელობს.

სტომატოლოგთა მოძრავმა ბრიგადამ ორი თვის მანძილზე სოფლის 2.500-მდე მშრომელს გაუწია კვალიფიციური დახმარება.

ი. თარხნიშვილი.

დიდი ქართველი მეცნიერი ივანე თარხნიშვილი გვირჩევდა

დღეგრძელი რომ ვიყოთ

სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სიბერის პრობლემა დიდი სამედიცინო-ბიოლოგიური და სოციალური პრობლემაა.

წარმატაცი ოცნება ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებასა, ახალგაზრდობის შეშენარჩუნებასა და სიბერის დაშორებაზე მრავალი ათასი წლის წინათ წარმოიშვა. მაგრამ ჩვენი პლანეტის წარსული ადამიანები უძლურნი იყვნენ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის ბრძოლაში.

ჩვენს დროში, კიბერნეტიკის, კოსმოსის ბრწყინვალედ ათვისების, მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დროში, კაცობრიობის მარადიული ოცნება ლეგენდებიდან და ფანტაზიიდან გადავიდა ყოველმხრივი და ღრმა მეცნიერული კვლევის სფეროში.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სიბერის პრობლემის მეცნიერულად დამუშავებაში.

ამ სახელოვან მეცნიერთა შორის, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ამ პრობლემის დამუშავებაში, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის გამოჩენილ მეცნიერ ფიზიოლოგს **ი. რ. თარხნიშვილს**, წარმომადგენელს რუსული ფიზიოლოგიური სკოლისას, რომელმაც მსოფლიო მეცნიერებას მისცა ისეთი ფიზიოლოგები, როგორიც იყვნენ ი. მ. სეჩენოვი, ი. პ. პავლოვი, ნ. ე. ვედენსკი და სხვ.

თარხნიშვილის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ასეული სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია რუსულ და დასავლეთევროპულ ენებზე და რომლებმაც გაამდიდრეს მედიცინის თეორია და პრაქტიკა.

დასამუშავებელ პრობლემებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნაშრომებს სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სიბერის საკითხებზე და მის კატალიზურ შრომას — „ცხოველების, მცენარეებისა და ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა", რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალში „ვესტნიკ ევროპი" (1891 წ.).

ამ ნაშრომში ჩანს თარხნიშვილის ღრმა და მრავალმხრივი ცოდნა არა მარტო ცხოველთა, მცენარეთა და ადამიანის ფიზიოლოგიის დარგში, არამედ გერონტოლოგიისა და გერიატრიის საკითხებშიც, აგრეთვე იმ ამოცანებში, რომლებიც საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის წინაშე დგას ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემების დამუშავებისას.

დიდი ფაქტიური მასალისა და საკუთარ დაკვირვებათა შედეგების გამოყენებით თარხნიშვილი განმარტავს იმ რთული ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესების მექანიზმებს, რომლებიც ხდება ცხოველთა ორგანიზმების უჯრედებში, **შრომა ხელს უწყობს სიცოცხლის ხანგრძლივობას, ხოლო უსაქმურობა, სიზარმაცე ამოკლებს მას.** ამატომ მის ნაშრომში აღშფოთებით აღსავსე სტრიქონები მიმართულია მდიდართა კლასისადმი, რომლებიც ცხოვრობენ-ჟეფეფრებაში, უწესრიგოდ ატარებენ დროს, რაც ვნებს ჯანმრთელობას.

დიდხანს ვერ ეცოცხლობენ ისინი, რომელთა ცხოვრება აღსავსეა მღელვარებით და მოკლებულია სულიერ სიმშვიდეს, რაც ხელს არ უწყობს სიცოცხლის ხანგრძლივობას. მრავალწლოვანი ყველაზე მეტია სასოფლო-სამეურნეო შრომის პირთა შორის.

მოპყავს რა მასალა ცოლქმრულ კავშირზე მოსახლეობაში და იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ეს კავშირი ორივე სქესის პირთა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, თარხნიშვილი დაასკვნის, რომ **ქორწინება ხელს უწყობს სიცოცხლის ხანგრძლივობას.**

ოჯახის კეთილმყოფელ გავლენას სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ადასტურებს ჩვენი მონაცემებიც ქართველ მოხუცთა ოჯახური მდგომარეობის შესახებ, სადაც 80-120 წლის ასაკს 5000 პირიდან ცოლიანი ან ქმრიანი იყო 99 პროცენტი.

თარხნიშვილი ხაზს უსვამს მრავალწლოვანთა მაღალ უნარს იყოლიონ შთამომავლობა, ბევრ შრომისმოყვარეობას, მორალურ თვისებებს, ოპტიმიზმს, ხალისიანობას, გულღია ხასიათს და სხვ. ისაბაგდა რა მაღალ პუმანურ მიზნებს, მას მიაღწია, რომ მოხუცთა ცოდნა და გამოცდილება, მაინი მტკიცე მორალური თვისებები, შემოქმედებითი უნარი ხალხს უნდა ემსახურებოდეს.

ჩვენი ქვეყნის მედიცინაში დაბერების მექანიზმებზე და ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების ხელშემწყობ პირობებზე წარმოდგენათა ჩამოყალიბების ჯერ კიდევ პირველ ხანებში თარხნიშვილმა მეცნიერულად დაასაბუთა სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ სპეციალური მეცნიერების — გერონტოლოგიის გამოყოფის საჭიროება.

იგი სინანულს გამოთქვამდა, რომ მისი თანამედროვე საზოგადოება და მეცნიერების წარმომადგენლებიც კი ინტერესს არ იჩენენ სიცოცხლის ხანგრძლივობის პრობლემისა და თავიანთი სიცოცხლის გახანგრძლივებისადმი.

მოუწოდებდა რა „საზოგადოებასა და მეცნიერებას" შეექმნათ პირობები ადამიანთა ნორმალური ცხოვრებისათვის, თარხნიშვილი წერდა:

„საზოგადოებისა და მეცნიერების ამოცანა უნდა იყოს ის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარემო პირობები ხელს უწყობდეს ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივ მოთხოვნილებებს, იმ საშიროებათა თავიდან აცილებას, რომლებიც იგი გარემოცულია. ყველა მხრიდან, აგრეთვე **საზოგადოებრივი წყობილების იმ არახელსაყრელი მხარეების** თავიდან აცილებას (ხაზგასმა ჩვენია — გ. ფ.), რომლებიც ამრავლებენ სიღარიბეს და სიღატაკეს, დიდი სიკვდილიანობის ამ მთავარ ფაქტორებს. აი საზოგადოებისა და მეცნიერების ვალი, შემოქმედებითი ენერგია ხალხს უნდა ემსახურებოდეს.

თარხნიშვილის ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს რჩევა, რასაც იგი იძლევა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით.

თვითეულ ადამიანს, თუ იგი გონიერულად ეკიდება თავის ჯანმრთელობას, აცავს შრომისა და დასვენების სათანადო რეჟიმს, ესწრაფვის სიცოცხლის ხანგრძლივობას, შეუძლია გაიხანგრძლიოს სიცოცხლე ას წლამდე.

საყურადღებოა მისი რეკომენდაციები კვების რეჟიმის, დაავადებათა პროფილაქტიკის დარგში.

დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენენ თარხნიშვილის სხვა ნაშრომებიც სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სიბერის პროფილაქტიკის საკითხებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც პერიოდულ პრესაში, ისე ცალკე გამოცემებად: „ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა", „ყველა დროისა და ხალხის ასი წლის ასაკის ექიმები", „დიეტა, როგორც სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალება", „ადამიანის ორგანიზმის გაკაჟების შესახებ" და სხვ.

ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად თარხნიშვილს მიაჩნდა **ჰიგიენური და საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნის ფართოდ გავრცელება მოსახლეობაში ლიტერატურის გამოცემისა და ლექციების კითხვის საშუალებით.**

ბრძნულად და თანადროულად გაისმის დიდი ქართველი მეცნიერის ივანე თარხნიშვილის ჰუმანიზმით გამსჭვალული სიტყვები: „...რა ბრძენნი არიან ხალხთა ბედის ის გამგებლები, რომლებიც უარყოფენ შოვინიზმს, ზრუნავენ უფლების ძალაზე დამყარებული საპატიო მშვიდობის შენარჩუნებაზე, უფლებისა, რომლის მფარველობითაც მხოლოდ შეიძლება ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ხალხის სასიცოცხლო ძალა".

ივანე თარხნიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ოცნებობდა იმ დროზე, როცა „მეცნიერებისა და საზოგადოების" მზრუნველობით ადამიანთა უმრავლესობის სიცოცხლემ შეიძლება მიაღწიოს ას წელს, როცა ადამიანს შერცხვება მოკვდეს ამ ვადაზე ადრე.

ეს დროც დადგა! სსრ კავშირში ბრძოლა ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რამაც ასახვა ჰპოვა სკკპ პროგრამაში. ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ჯერჯერობით 32 წლიდან 70 წლამდე გადიდდა.

შექმნილია და წარმატებით ვითარდება ახალი მეცნიერებანი — გერონტოლოგია და გერიატრია. ბევრი სამეცნიერო დაწესებულებისა და მეცნიერთა კოლექტივის ყურადღების ცენტრშია კეთილშობილური ამოცანა — გამოიცნონ მიზეზები, რომლებიც იწვევენ ნაადრევ დაბერებას, იპოვნონ ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივების რეალური საშუალებები.

ი. თარხნიშვილმა არსებითი წვლილი შეიტანა სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სიბერის პრობლემათა დამუშავებაში. მისი დამსახურება ამ დარგში ყურადღებით შესწავლისა და მაღალი შეფასების ღირსია.

გ. ფიცხელაური.
პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

პრემიერა დედაქალაქის ეკრანებზე

დღეიდან თბილისელ კინომაყურებლებს დედაქალაქის ეკრანებზე შეუძლიათ ნახონ კიდევ ერთი ახალი ჩეხოსლოვაკიური ფილმი

„მთიელი შურისმაძიებლები"

ეს ფილმი არის მოთხრობა ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნულ გმირზე.

სცენარის ავტორი და რეჟისორია პაოლო ბილეიკი, ოპერატორი ვლადიმერ ეშინა.

მთავარ როლებში მონაწილეობენ: ფრანტიშეკ კუხტა, ლუცია პოპოვა, ვოიტეხ ბრაზდოვიჩი.

ფილმი გადაიღო „ოლიბას" კინოსტუდიამ (ჩეხოსლოვაკია).

* * *

სურათზე: კადრი ფილმიდან „მთიელი შურისმაძიებლები".



თბილისის სახელმწიფო ცირკი

3, 4, 5, 6, 7 დეკემბერს

საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატების

გამოსათხოვარი გასტროლები

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შაბათს, 5 და კვირას, 6 დეკემბერს

დღის სადღესასწაულო წარმოდგენები

დასაწყისი 11 ს. 30 წ. და 2 ს. 30 წ.

ბილეთები წინასწარ იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში და რწმუნებულების მეშვეობით. ჯიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე სკოლებიდან და დაწესებულებიდან.

თეატრები

8 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — დონ-კიხოტი (მე-6 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **რუსთაველის** სახელობის **დიდი დარბაზი** — სიმღერა შეკარდენზე (მე-7 და გაცდენილი აბონ). **მარჯანიშვილის** სახელობის — მკვდრის მზე (მე-6 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **გრიბოედოვის** სახელობის — ეზოში ავი ძაღლია (მე-5 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **სანკულტურის** — პროკურორ მაიარის საქმე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მეთორმეტე ღამე (აბონ. № 21, საღ. 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — რაზე გვიკამბობდნენ ჯადოქრები (დილის 10 ს.).

გამოიწერეთ გაზეთი

Республиканская газета

გაზეთი აშუქებს ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებას, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევებს, სისტემატურად აქვეყნებს თეორიულ წერილებს მწერლობისა და ხელოვნების აქტუალურ პრობლემებზე, ბეჭდავს ცნობილი მწერლების ლექსებს, მოთხრობებსა და ნარკვევებს.

1965 წლისათვის ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" უველა განყოფილებაში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

4 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული სიმღერები, 08.30 — ქართული კამერული მუსიკა, 09.15 — ფრაგმენტები ჩაიკოვსკის ბალეტ „გედის ტბიდან", 11.15 — მუსიკალური რადიოეჟსკურსია „რიმსკი-კორსაკოვის სახლ-მუზეუმის დარბაზებში", 12.10 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.20 — ს. ცინცაძე, პირველი სიმფონია, 13.40 — სიმუტრი სიმღერები, 14.00 — საბჭოთა კომპოზიტორების საოპერო და საბალეტო მუსიკა (მოსკოვი), 15.00 — რადიოსადგურ „იუნოსტის" პროგრამა (მოსკოვი), 17.15 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის გ. ჭიჭინაძე „შუმხუნები", 18.10 — მსუბუქი მუსიკა, 18.45 — „მღერის ირინა მასლენიკოვა", 19.30 — ნარკვევი — „ადამიანი ეძებს, პოულობს", 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 — „ძალისპირული", 20.30 — „მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროში", 21.00 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 22.00 — გადაცემა — „ვასო აბაშიძე", 23.30 — პოპულარული კამერული მუსიკა.

ტელევიზია

8 დეკემბერი

12.00 — კინონარკვევი, 12.40 — მხატვრული ფილმი „მაია წყნეთელი", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „კაპიტანი", 19.20 — გადაცემა — „აბონენტთა რიცხვი ორჯერ გაიზრდება", 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — გადაცემა — „ანტონ რუბინშტეინი", 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი", 21.10 — მხატვრული ფილმი „მაია წყნეთელი", 22.45 — ახალი ამბები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეების — 9 93 03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული—9-87-61, პროპაგანდის—3-22-89, მრეწველობის—3-20 43, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა შენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16 90, ეცხოეთის — 3-18-55, წერილების — 9.73-24, ილუსტრაციის — 3-19-99, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 12355

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

7

ლ. ვოლპერტი ლიდერს დაეწია

XXIV 1964

ბუდაპეშტში განყენებული ცნობები არ არსებობს, ყველაფერი კონკრეტულ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ფორმალურად რომ გვემსჯელა, შეჯიბრების ლიდერ ე. რუბცოვას გადადებული პარტიების დამთავრებისას ცუდი დღე უნდა დადგომოდა. მას მხედარი აკლდა პაიკში მ. რანიუსთან, ხოლო კ. ზვორიკინასთან დაკარგული მხედრის ნაცვლად ჰქონდა ორი პაიკი. მაგრამ, როგორც გადადებული პოზიციების დეტალური ანალიზის შემდეგ გახდა ცნობილი, ლიდერს არც ერთ ამ პარტიაში არ ემუქრებოდა დამარცხება. იგი ყაიმის მისაღწევად საკმარის კონტრთამაშს ინარჩუნებდა. ამიტომ ორივე ამ შეხვედრაში ყაიმი აღინიშნა.

ნ. გაფრინდაშვილი მეთოდურად აძლიერებდა თავის პოზიციას ე. ბიშარდთან. ლენინგრადელი მოკადრაკე დიდხანს მაგრამ ამაოდ ცდილობდა მდგომარეობის გათანაბრებას. მსოფლიოს ჩემპიონმა მოიგო პაიკი და აიძულა მეტოქე შეეწყვეტა წინააღმდეგობა.

გუშინ ლიდერს დაეწია ლ. ვოლპერტი. მან ზუსტად გამოიყენა ზედმეტი ხარისხი უ. კურესთან და გაიმარჯვა. საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი დიდი აღმავლობით თამაშობს. კ. ზვორიკინა თამაშის განუყოფელ დანებდა ა. ერგლეს და ყაიმზე შეუთანხმდა ლ. ვოლპერტს.

სამი გადადებული პარტია ჰქონდა ნ. ალექსანდრიას. ჯერ იგი ბ. მოსიონჟიას შეხვდა. საქართველოს ჩემპიონს ზედმეტი ხარისხი ჰქონდა პაიკში, მაგრამ თეთრების ფიგურები მეტად აქტიურად იყვნენ განლაგებულნი. ბ. მოსიონჟიამ მიიღო მეტად საინტერესო გადაწყვეტილება. მან ზედიზედ დათმო ორი პაიკი, მაგრამ ამასობაში შავების მეფეს სახიფათო მუქარები შეუქმნა მწვავე პოზიციაში ალექსანდრიამ მეტად დაკვირვებულად და ზუსტად ითამაშა, რის შემდეგ ამ პარტიაში ყაიმი აღინიშნა. შემდეგ საკადრაკო დაფას მიუსხდნენ ნ. ალექსანდრია და კ. ზვორიკინა. ეტლების ენდშპილში მინსკელ ოსტატს გარკვეული პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ნორჩი მოკადრაკე მარჯვედ იცავდა თავს და კ. ზვორიკინაც ყაიმს დასჯერდა. მესამე გადადებული პარტიის დამთავრება ი. გასპარიანცთან ნ. ალექსანდრიამ ვერ მოახერხა.

ა. ჩაიკოვსკაიას ორი კუ ჰქონდა რ. კაზმინას ეტლის წინააღმდეგ და კიდევაც გაიმარჯვა. ნ. კონოპლიოვამ მოუგო რ. ვაპნიჩნაიას, ე. ბიშარდმა — ო. ანდრეევას, ო. კაცკოვამ — ა. ერგლეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ო. კაცკოვა-ო. რუბცოვა და უ. კურე — რ. ვაპნიჩნაია.

რვა ტურის შემდეგ შეჯიბრებას უკვე ორი ლიდერი ჰყავს: ესენი არიან — მოსკოვის ჩემპიონი ე. რუბცოვა და ლენინგრადის ჩემპიონი ლ. ვოლპერტი. მათ 6,5 ქულა აქვთ თვითეულს. 6-6 ქულა მოაგროვეს მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა და რუსეთის ფედერაციის ჩემპიონმა ნ. კონოპლიოვამ. საქართველოს ჩემპიონ ნ. ალექსანდრიას 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

ბ. ბამრეკელი.

სამთა მატჩ-ტურნირი

როგორც ცნობილია პრეტენდენტთა ტურნირს სოხუმში გამაოკეკეფლი არ გამოუვლენია, საბჭოთა მოკადრაკე ქალებს ტ. ზატულოვსკაისა და ა. ჟუშნირს, აგრეთვე იუგოსლავიელ მ. ლაზარევიჩს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმდაჩნდათ, მათ შორის უნდა მოეწყოს მატჩ-ტურნირი.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება. შეთანხმდნენ, რომ ეს შეჯიბრება მოეწყოს საბჭოთა კავშირში. მ. ლაზარევიჩს უნდა აერჩია მატჩ-ტურნირის ქალაქი. მან დაასახელა მოსკოვი.

ამრიგად, სამთა მატჩ-ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის მეტოქის გამოსაცალინად დაიწყება მოსკოვში 20 დეკემბერს.

კომუნისტი

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

მოსკოვმლა დინამოელებმა გამარჯვებით დაიწყეს თავიანთი ტურნე სამხრეთ ამერიკაში. პერუს დედაქალაქ ლიმაში მათ დაამარცხეს ადგილობრივი კლუბის „ალიანსის" ფეხბურთელები ანგარიშით 2:1.

პირველი ტაიმი არაფერს კარგს არ უქადდა სტუმრებს: „ალიანსის" ფეხბურთელები, რომლებსაც 30 ათასი გულშემატკივარი უჭერდა მხარს, განუწყვეტლივ უტევდნენ, და მათი ერთი ძლიერი დარტყმა შორიდან გოლით დაგვიგვანდა. მაგრამ შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. მასპინძლები აჭარად დაიღალნენ. დინამოელებმა უკეთ დაიწყეს თამაში. 50-ე წუთზე ავოუცკიმ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 71-ე წუთზე ბობკოვმა დაამთავრა ლამაზი კომბინაცია და გამარჯვების გოლი გაიტანა.

პრეზიდენტის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი კაიროში შეხვდა ადგილობრივ საკლუბო გუნდ „აპლის" და დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 3:2.

სიახლე ტექნიკაში

რადიომაუწყებლობა სხლომათა დარბაზში

ალექსანდრე პოპოვის სახელობის რადიომაუწყებლობითი მიღებისა და აკუსტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინრების მიერ შექმნილია მინიატურული მიმღებ-გადამცემი აპარატურა. ეს აპარატურა განკუთვნილია იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას კონფერენციებისა და დისპუტების მონაწილეთა სიტყვების ყოველ ენაზე თარგმნისას.

ამჟამად ზოგიერთ დარბაზში მოწყობილია სადენთა რთული სისტემა, რომლის გამოსასვლელი ბუდეები მოთავსებულია სავარძლების სახელურებში. თარგმნელი ტექსტის ტრანსლაცია თარჯიმანის კაბინიდან ხდება ქსელში, ხოლო თითბირების მონაწილენი საჭირო ენას შეარჩევენ და თავიანთ ტელეფონს ერთი არხიდან მეორეზე გადართავენ.

ახალ აპარატურაში რადიომიმღები, რომელსაც კოხტა ტელეფონი საყურე აქვს, სულ დაახლოებით 150 გრამს იწონის. ეს შესაძლებლობას აძლევს მსმენელებს მოშორდნენ საკარელის და ისე უსმინონ ორატორს.

თარჯიმანი სარგებლობს მეორეგვარი ტიპი ტრანზისტორული გადამცემით, რომელიც პატარა პორტსიგარს მოგაგონებს და თავისუფლად ეტევა პიჯაკის ჯიბეში. გადამცემის მიერ გამოსხივებული რადიოტალღები შეიძლება მიღებულ იქნას 25-30 მეტრ რადიუსში. თუ თარგმნა რამდენიმე ენაზე ხდება, მსმენელებს შეუძლიათ რადიომიმღები დაიყენონ საჭირო ტალღაზე, როგორც ერთ-ერთ რადიოსადგურზე.

გადამცემის ანტენა მიკროფონის კაბელია, მიმღებისა კი — ტელეფონის ზონარი. ბატარეების კომპლექტი უზრუნველყოფს მიმღებისა და გადამცემის კვებას 8-10 საათის განმავლობაში.

ასეთი აპარატურის წარმატებით გამოყენება შეუძლიათ აგრეთვე რეკისორებს თეატრებში და სპორტულ მწვრთნელებს, მშენებელ- მემონტაჟეებს და მთამსვლელებს.

სენსაცია ზოოლოგიაში

კოპენჰაგენი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ქალაქ ოლბორგის ზოოპარკში მოდა ერთი ამბავი, რომელიც დანიელ მეცნიერებს მიაჩნიათ მსოფლიო მნიშვნელობის სენსაციად. დედალმა სამეფო პინგვინმა „ჯოკემ" დადო კვერცხი. სამეფო პინგვინების გამრავლების შემთხვევა მათი სამშობლოს — ანტარქტიკის გარეთ, ისიც ტყვეობის პირობებში პირველად მოხდა.

3 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში (რუსთაველის ბრ. № 29, კაბინეტი № 7) პროპაგანდისტებისა და თეორიული სემინარების ხელმძღვანელებისათვის ი. ს, აგრეთვე მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ეწყობა კონსულტაცია სასწავლო გეგმის მესამე თემაზე: **„მსოფლიო სოციალისტური სისტემა თანამედროვეობის გადამწყვეტი რევოლუციური ფაქტორია".**

კონსულტანტი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ვ. ადვაძე.**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.